371.3
Რ-197

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ

ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ ᲘᲠᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲢᲔᲥᲡᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ

ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ
ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲤᲔᲠᲐᲢᲘ

13.00.02 ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2006

ნაშრომი შესრულებულია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნათელა დოლონაძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **მანანა ქუთელია**
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, როფესორი
(13.00.02)

ლეილა ბერიშვილი
პედაგოგიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
(13.00.02)

- 30056 -

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 02 03 14⁰⁰, საათზე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში სადისერტაციო საბჭოს (P10.01 #1) სხდომაზე
მისამართი: (0162, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, # 45)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 02 02

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი,
პროფესორი

ლ.გვასალია

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალურობა. უცხოური ენა ხალხთა შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი საშუალებაა და მის სწავლებას საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოების პირობებში კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ურთიერთგაზიარების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ამჟამად, როცა მკვეთრად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, საჭირო გახდა უცხოური ენების სწავლების მიზნებისა და ამოცანების გადასინჯვა, მათში გარკვეული კორექტივების შეტანა. უცხოური ენების სპეციალისტთა მომზადებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. გაიზარდა მოთხოვნები მათი პროფესიული ოსტატობისადმი. პროფესიული უცხოენობრივი კულტურის შეთვისება საკმაოდ ნელი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესია. ამ პროცესში დიდ როლს ასრულებს მხატვრული ლიტერატურის კითხვა. საგანი „საშინაო (ექსტენსიური) კითხვა“ ენობრივ ფაკულტეტებზე სწავლების მთელ მანძილზე მიმდინარეობს, რაც მის მნიშვნელობას ადასტურებს. ამავე დროს, აღნიშნული საგნის სწავლება ფაქტიურად ინტუიტურად ხდება, რადგან მისი სწავლების მეთოდიკა სრულიად შეუსწავლელია. ყველაფერი ეს აქტუალურს ხდის ჩვენ კვლევას.

კვლევის ობიექტია უცხოური (ინგლისური) ენის სპეციალობის სტუდენტების სწავლებისას მხატვრულ ტექსტზე კომპლექსური მუშაობის პროცესი.

კვლევის საგანს წარმოადგენს "საშინაო კითხვის" სწავლების ეფექტურობის გაზრდის პრობლემა ენობრივ ფაკულტეტზე და ამ პროცესში ენობრივი, სტილისტური

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе